

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამარ მესხიშვილი

ტურიზმის უსაფრთხოების მენეჯმენტის უცხოური
გამოცდილების იმპლემენტაცია საქართველოში

სადოქტორო პროგრამა – ბიზნესის ადმინისტრირება
შიფრი – 02

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი

2019

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: პროფესორი მარინა მეტრეველი

რეცენზენტები _____

დაცვა შედგება 2019 წლის "____" ივლისს, ___ საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს ტექნოლოგიების
ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე,
კორპუსი VI, აუდიტორია -----,
მისამართი: თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკასა და საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ გვერდზე (www.gtu.ge)

სადისერტაციო საბჭოს მდივანი

ასოცირებულ პროფესორი ლია ბერიკაშვილი

Resume

Tamar Meskhishvili's Thesis "Foreign Experience in Tourism Security Management and Its Implementation in Georgia" consists of the introduction and the three chapters.

In the introduction, the relevance of the dissertation topic is substantiated. The author considers that the security of the popularity of the tourism has become very urgent for its security. Security is a system of mutual-based issues and events that arise in the process of relations with three main agent of tourism, such as: the area, condition and resource reserves and individual system; Tourism development initiators (owners of territories and tour operators) and tourists.

In addition, there is no universal concept of security in the modern industry of tourism, which must necessarily involve and passive passive tourism, and can be brought down to some key positions - it will be legal and economic. From the point of view of active tourism, security can be considered as a "safety technique", which basically contains a gut.

Overall, the security problem with dual nature has not yet been studied due to its magnitude, and in an active tourism section it is an artificial simplification and an attempt to withdraw it only on police security issues.

One of the fundamental problems of tourism safety is based on the imperfections of the commutative apparatus that generates terminological discrepancies and confusion. Despite the fact that there are a large number of typologies of tourism and classification, there is still no agreement with such concepts as active and poor tourism, tourism and recreation, arbitrary and spontaneous tourism.

For the justification of the universal concept of tourism security, it is necessary to improve the concept of tactical apparatus, to develop a new classification of principle differentiated typology and threats that are based on both traditional and new approaches.

The work is completed on 160 pages and consists of the introduction, three chapters, twelve paragraphs, and the list of used literature.

In the first chapter of the work, "Conceptual and Methodological Prerequisites of Tourism Security Problem as a Human and Potential Hazardous Environmental Sphere" the author presents its own views on the results of the tasting of tourism safety as a production and recreational activity, reveals traditional classification of tourism new elements of celestial and complex approach.

In the second chapter of the work, "Foreign Experience and Georgian Authenticity of Organizational Approach to Active Tourism", the author discusses the scope and reasons for creating dangerous situations during the routes, sports complexity categories and the principles of safety assessment of the holidays. In the same chapter, the author creates the classification of the safety level of the tourism routes, in the tourism of the ubiquitous curator

In the third chapter of the work, "The Concept of Active Tourism Security and Its Implementation Methods at Regional Level", the author has reviewed the problems of active tourism development, personnel for tourism practices, perspectives and realities of tourism territorial organization in the region. In addition, the author analyzes the role of tourism-recreational zones in solving the security problem and the functional optimization of the area. In the final paragraph of the work, the author suggests the necessary activities for the safety of most tourist attractions in the region.

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. ტურიზმის პოპულარობის ზრდასთან ერთად ძალზე აქტუალური გახდა მისი უსაფრთხოების საკითხებიც. უსაფრთხოება წარმოადგენს ურთიერთგანმაპირობებელი საკითხებისა და მოვლენების სისტემას, რომლებიც წარმოიშვება ტურიზმის სამი ძირითადი აგენტის ურთიერთობათა პროცესში, ესენია: ტერიტორია, პირობებისა და რესურსების მარაგისა და თანაფარდობის ინდივიდუალური სისტემით; ტურიზმის განვითარების ინიციატორები (ტერიტორიების მფლობელები და ტუროპერატორები) და საკუთრივ ტურისტები.

ამასთან, ტურიზმის თანამედროვე ინდუსტრიაში ჯერჯერობით არ არსებობს უსაფრთხოების უნივერსალური კონცეფცია, რომელმაც აუცილებლად უნდა მოიცვას და დაახასიათოს აქტიური და პასიური ტურიზმის ორგვარი ბუნება. პასიური ტურიზმის თვალსაზრისით, უსაფრთხოება შეიძლება დაყვანილ იქნას რამდენიმე ძირითად პოზიციამდე - ეს იქნება იურიდიული და ეკონომიკური. აქტიური ტურიზმის თვალსაზრისიდან კი უსაფრთხოება შეიძლება განხილულ იქნას „უსაფრთხოების ტექნიკის“ სახით, რომლებიც, ძირითადად შეიცავს გარემო პირობებთან უხიფათო ურთიერთქმედების წესებს.

მთლიანობაში, ორმაგი ბუნების მქონე უსაფრთხოების პრობლემა ჯერჯერობით ნაკლებადაა შესწავლილი სწორედ მისი მასშტაბურობის გამო, ხოლო აქტიური ტურიზმის ნაწილში კი მისი ხელოვნური გამარტივებისა და მხოლოდ პოლიციური უსაფრთხოების საკითხებზე მისი გაყვანის მცდელობამ.

ტურიზმის უსაფრთხოების ერთერთ ფუძემდებლურ პრობლემად აფუძნებულია ცნებითი აპარატის არასრულყოფილებაზე, რომელიც წარმოშობს ტერმინოლოგიურ შეუსაბამობებსა და აღრევას. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ტურიზმის ტიპოლოგიებისა და კლასიფიცირების დიდი რაოდენობა, დღემდე არაა შეთანხმებული ისეთი ცნებების თანაფარდობა, როგორებიც არის აქტიური და პასიური ტურიზმი, ტურზიმი და რეკრეაცია, თვითნებური და სპონტანური ტურიზმი.

ტურიზმის უსაფრთხოების უნივერსალური კონცეფციის დასაბუთებისათვის აუცილებელია ცნებითი აპარატის სრულყოფა, ტურიზმის პრინციპულად განსხვავებული ტიპოლოგიისა და საფრთხეების ახალი კლასიფიკაციის შემუშავება, რომელიც დაეყრდნობა როგორც ტრადიციულ, ასევე უახლეს მიდგომებს.

კვლევის მიზნები და ამოცანები. სადისერტაციო ნაშრომის მიზანია უცხოური გამოცდილების შესწავლის შედეგად აქტიური ტურიზმის უსაფრთხოების უნივერსალური კონცეფციის შემუშავება. ამ მიზნის მისაღწევად დაისახა ლოგიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

1. უცხოურ და ქართულ ლიტერატურაში გამოყენებადი ცნებითი აპარატის სრულყოფა, კერძოდ: ცნებების „აქტიური ტურიზმი“, „ობიექტური საფრთხე“ „სუბიექტური“ საფრთხე“ დაზუსტება;
2. ტურიზმში გენეზისის მიხედვით დიფერენცირებული ახალი საფრთხეების კლასიფიკაცია, საწყალოსნო მარშრუტების კლასიფიკაციის შემუშავება;
3. უბედური შემთხვევების გავრცელების გეოგრაფიისა და დროითი დინამიკის, ასევე ტურისტული მარშრუტების ჩატარებაში დაშვებული ტიპური შეცდომების შესწავლა;
4. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში არსებული აქტიური ტურიზმის მარშრუტების შეფასება ჯგუფებისათვის არსებული ობიექტური საფრთხეების თვალსაზრისით;
5. ტურისტული ჯგუფებისათვის არსებული სუბიექტური საფრთხეების შეფასება და მოტივაციების კორელაციის გამოვლენა ტურიზმის სახეობასთან, მარშრუტის ორგანიზაციის ხასიათთან და სირთულესთან.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის ობიექტია არსებული ტურისტული მარშრუტები, რომლებიც წარმოადგენს ადამინებისთვის ატრაქტიულ სივრცულ მონაკვეთებს და ამავდროულად პოტენციურად საშიში ტერიტორიები და აკვატორიები. კვლევის საგანია ტურისტების ურთიერთ-

ქმედება პოტენციურად საშიშ გარემოსთან, საგანგებო შემთხვევების წარმოშობის წინაპირობები და პროფილაქტიკა აქტიური ტურიზმის მარშრუტებზე.

თემის შესწავლის მდგომარეობა. ქართული მეცნიერების გამოცდილებიდან ავტორმა ათვისა ემპირიული კვლევის ფუნდამენტური დასაბუთების იდეა და პრიორიტეტული კომპლექსური მიდგომის აუცილებლობა. უცხოური მეცნიერული წყაროებიდან ათვისებულია საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკული რეგულირების აუცილებლობის იდეა.

გამოკვლევა ჩატარებულია სტატისტიკური, კარტოგრაფიული, ვიზუალური და სხვა მასალების გამოყენებით. მის ემპირიულ ბაზას შეადგენდა სამაშველო სამსახურის, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებსა და საკუთარი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, კერძოდ: ჩატარებულია სოციალური კვლევა ტურისტებს შორის როგორც ორგანიზებულ, ასევე საკუთარი ნებით შექმნილ ჯგუფებში. კვლევა შესრულებულია გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური და გეოინფორმაციული და სამართლებრივი მასალების ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე.

ნაშრომის მეცნიერული სიახლეს წარმოადგენს მეთოდოლოგიური და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებისადმი კომპლექსური მიდგომა. სიახლეებია:

1. ოპტიმიზებულია ცნებითი აპარატი, შეთავაზებულია ახალი ტერმინების დასაბუთება, ჩატარებულია ტურიზმის ტიპოლოგია და კლასიფიცირება;
2. შემუშავებულია ორგანიზაციულ უსაფრთხოებასთან და ტერიტორიულ ორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხები;
3. ჩატარებულია კვლევები, რომლებიც იძლევა ტერიტორიების, გენეზისის, სპეციფიკისა და აქტიური ტურიზმის სახეების მიხედვით საფრთხეების დიფერენცირების შესაძლებლობას, გარდა ამისა, შემუშავებულია უსაფრთხო ტურიზმის კონცეფცია ნებისმიერი ტაქსონომიური რანგის მქონე ტერიტორიისათვის;
4. შემუშავებულია ტურიტული მარშრუტის ახალი, სპორტული ტუ-

რიზმისგან განსხვავებული შეფასების სისტემა, რაც იძლევა შემდგომში უსაფრთხოების ასეთივე სისტემების შექმნის საშუალებას მასობრივი და სხვა სახის ტურიზმის სფეროში;

5. უცხოური მეცნიერული კვლევებისა და პრაქტიკული გამოცდილების საფუძვლიანი და სისტემური შესწავლის საფუძველზე ფორმულირებულია აქტიური ტურიზმის უსაფრთხოების კონცეფცია საქართველოსთვის.

კვლევის თეორიული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მისი ძირითადი მეთოდოლოგიური მდგომარეობა და პრაქტიკული რეკომენდაციების შეიძლება გამოყენებულ იქნას სასტუმროების კომპლექსის საწარმოების მიერ განვითარების სტრატეგიის დაგეგმვისა და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების დროს.

კვლევის მეთოდოლოგია. სადისერტაციო ნაშრომი ეყრდნობა ქართველი თუ სხვა მკვლევარების საფუძვლიან ნაშრომებსა და კვლევებს, რომლებშიც შესწავლილია ტურიზმის უსაფრთხოების მართვის საკმაოდ არაორდინარული პრობლემა. მეთოდოლოგია, რომელიც ჩვენ შევარჩიეთ სადისერტაციო თემიდან, კვლევის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, გამოდის ჯგუფური ინტერესების თეორიიდან და ნეონსტიტუციური სკოლის პოსტულატებიდან. რაც ეხება ტურიზმის უსაფრთხოების მართვის საკითხებს, მათი დამუშავებისას ვეყრდნობოდით სტრატეგიული მენეჯმენტის დებულებებისათვის სახასიათო პარადიგმების კომპლექსს.

მეთოდები, რომელიც გამოვიყენეთ კვლევის პროცესში, ზოგად-სამეცნიეროცაა და სპეციფიკურიც, კერძოდ: ტრადიციული ზოგადი სამეცნიერო მეთოდების ჯგუფს განეკუთნება სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, კრიტიკული გააზრება და აბსტრაქტულ-თეორიული და ლოგიკური ანალიზის მეთოდები (გამოყენებულია თითქმის ყველა პარაგრაფში), ექსპერიმენტული მეთოდი (მეორე და მესამეთავებში) და განზოგადებათა მეთოდი, რომელთაგან განსაკუთრებულად გამოვყოფთ მე-2 თავში გამოყენებულ ემპირიული განზიგადების მეთოდიკას.

სამივე თავშია გამოყენებული შედარებისა და დაჯგუფების, აგრეთვე

ვარიაციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები. ხოლო მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების ნაკრებიდან, რომელსაც კომპლექსურად ვიყენებდით სხვადასხვა საჭირო ვარიანტებით, ცალკე გამოვყოფთ მოდელირებას და სისტემურ მიდგომას.

აუცილებელია გამოიყოს გამოკითხვის მეთოდი, რომელიც სოციალური კვლევის მეთოდების ფართო დაჯგუფებას განეკუთნება. კვლევის მეთოდების ამავე ნათესაური ჯგუფიდან არის ჩვენს მიერ საკმაოდ ბევრ შემთხვევაში გამოყენებული ექსპერტული შეფასების მეთოდიც.

კვლევის რაოდენობრივი მეთოდების ცალკე ჯგუფიდან ვიყენებდით ქრონომეტრაჟს და კორელაციას.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომდისერტაციის მეთოდური დებულებები შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამებში ისეთი საგნების შესწავლისას, როგორებიცაა „მოგზაურობის ორგანიზაცია“, „ტურიზმის უსაფრთხოება“, „ტურისტული რაქტიკუმი“, რომლებიც ახორციელებენ სპეციალისტების მომზადებას ტურიზმის ეკონომიკისა და ტურისტული მომსახურების მართვის სფეროში; რეგიონული ტურიზმის პროგრამებისა და არასაშტატო სიტუაციების პროფილაქტიკური ზომების შემუშავების პროცესში.

სადისერტაციო კვლევის სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავლისა და სამი თავისაგან, შესრულებულია 150 გვერდზე, ახლავს დანართები.

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი შინაარსი

ნაშრომის პირველი თავის – „ტურიზმის უსაფრთხოების პრობლემის კონცეპტუალური და მეთოდური წინაპირობები, როგორც ადამიანის და პოტენციურად საშიში გარემოს ურთიერთქმედების სფერო“ – შედგება ორი ქვეთავისაგან: 1) ტერიტორიის ტურისტული უსაფრთხოება, როგორც საწარმოო და რეკრეაციული საქმიანობის შეხამების შედეგი და 2) ტურიზმის ძირითადი ტიპები და მათი ავტორისეული ინტერპრეტაცია.

პირველი ქვეთავში განხილულია მსოფლიოში არასაწარმოო სფეროს, როგორც ეკონომიკის რეალური სექტორის ყველაზე სწრაფად მზარდი ნაწი-

ლის, როლისა და მნიშვნელობის მატების შესახებ. იგივე ტენდენცია შეიმჩნევა საქართველოს სამრეწველო რეგიონებში, რომლებშიც მნიშვნელოვნადაა ათვისებული მინერალური რესურსები, ხოლო აგრარული ბიზნესი - ნაკლებად მომგებიანია. ამას მიწათმოქმედების რისკიან ზონებს უწოდებენ. მრავალ რეგიონს, რომელიც ხასიათდება მომგებიანი, სტაბილურად ფუნქციონირებადი საწარმოების რიცხვის შემცირებით (რაც თავისთავად ნიშნავს სამუშაო ადგილების შემცირებას), არ რჩება სიტუაციის დასტაბილურების სხვა შესაძლებლობა, გარდა იმისა, რომ არასაწარმოო სფეროში განავითროს მასშტაბური საქმიანობის სხვა ფუნქციონალური მიმართულებები.

საქართველოს რეგიონებს გააჩნია ტურიზმის განვითარების მდიდარი პოტენციალი, რაც გამოიხატება ბუნებრივი ლანდშაფტების მიმზიდველობასა და კონტრასტულობაში, ისტორიული და პოლიტიკური მოვლენების მემკვიდრეობის კულტურის ძეგლებში. როგორც წესი, ყველაზე უფრო შემოსავლიანი ფენა შემოყვანილი უცხოელი ტურისტები არიან, მაგრამ ამ მიმართულების სწრაფი და ეფექტური განვითარება აწყდება სერიოზულ წინააღმდეგობებს ინფრასტრუქტურის (კარგი სასტუმროები და განშტოებული კომფორტული სატრანსპორტო კომუნიკაციები) არარსებობის გამო. შიდა ტურიზმს გააჩნია განვითარების დიდი შესაძლებლობები, ამიტომ მოცემული პროცესების ინტენსიფიკაციის შესაძლებლობების განხილვას აქვს გარკვეული მნიშვნელობა სოფლის ტერიტორიებისათვის.

თუ ტურიზმს განვიხილავთ, როგორც საქმიანობის სახეობას, რომელსაც პოტენციურად შესწევს უნარი შექმნას სამუშაო ადგილები, ასეთ შემთხვევაში გამართლებული იქნება მისი განვითარების სტიმულირება მივაკუთნოთ იმ უმნიშვნელოვანესი მიმართულებების რიცხვს, რომლებიც არა მარტო სასოფლო ლანდშაფტის შენარჩუნებას უწყობს ხელს სრულფასოვანი სასიცოცხლო გარემოს სახით, არამედ ეხმარება მის მდგრად განვითარებასაც.

ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ლანდშაფტების მიმზიდველობის დონე, მათი კონტრასტულობა, ხელმისაწვდომობა და ტერიტორიის სხვა მახასიათებლები. შესაძლებელია მათი შეფასება და პოტენციური რეზოგიონური შესაძლებლობის გამოვლენა, რაც რეკრეა-

ციული მიზნებით გამოიყენება. მაგალითად, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ტერიტორიის ფარგლებში სიტუაციის შეფასებისათვის ჩვენ გამოვიყენეთ ტრანსპორტისათვის მისადგომობისა და ტურისტული ატრაქტიულობის კრიტერიუმები.

მხარის ფარგლებში შეიძლება გამოვყოთ სამი „თეთრი წერტილი“ – ზონები, სადაც ამჟამად საკმაოდ სუსტია ტერიტორიის ტურისტული რესურსების სისტემატური ექსპლუატაციის შესაძლებლობა. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული ტერიტორიები მოკლებულია ატრაქტიულ ობიექტებს და ლანდშაფტებს ანდა არ გააჩნიათ ტურისტული პოტენციალი. ამ ზონებიდან პირველია ჩრდილო-დასავლეთი, მეორეა – სამხრეთი, მესამეა აღმოსავლეთი. ტურისტული მიმართულებით მათი შედარებითი პასიურობა განპირობებულია დაბალი სატრანსპორტო ხელმისაწვდომობით და განუვითრებელი ინფრასტრუქტურით. ძირითდი ფაქტორების მოქმედების გათვალისწინებით, აქტურ ტურიზმთან მიმართებაში მხარე არის ყველაზე ნაკლებად შესწავლილი ტერიტორია. იგი ქმნის ტურისტული მიმზიდველობის კომპლექსს, რომელიც დიფერენცირდება ტერიტორიების 4 ჯგუფად.

საწარმოო ხასიათის მქონე ტრადიციების შენარჩუნების შეხამება ახალ რეკრეაციულ მიმართულებასთან წარმოადგენს მნიშვნელოვან კონცეპტუალურ მიმართულებას, რომელიც განსაზღვრავს ტერიტორიების საკმარისად მაღლი დონის ათვისებას.

მეორე ქვეთავში ტურიზმის ძირითადი ტიპები და მათი აგრესიულობის ინტერპრეტაცია განხილულია უსფრთხოების პრობლემის მიზანთან და გამოკვლევის ამოცანებთან შესაბამისობაში თანამედროვე მრავალმხრივი ტურისტული პრაქტიკის განხორციელების პოზიციიდან. ეს საკმაოდ ინფორმაციატევადი სტრუქტურული მოვლენაა, რომელიც მოიცავს ურთიერთქმედებას, სულ მცირე, სამ ადვილად განსხვავებად სუბიექტს შორის – როგორც უკვე აღვნიშნეთ, ესაა თავად ტურისტები, ტურისტული პრაქტიკის ორგანიზატორები და ტურისტული ტერიტორიები.

საკმაოდ მნიშვნელოვანია, დადგინდეს ტურიზმის განსხვავებები მოქმედებათა აქტიურობის დონის მიხედვით. პასიური ტურიზმის ქვესახეო-

ბების გამორჩევის ვარიანტები არის კურორტები და მცირე ფორმის სასტუმროები.

მომსახურების აღნიშნული ორი სახეობა განსხვავდება იმით, რომ პირველს შეესაბამება სამკურნალო მოტივაციის მქონე ტურიზმის ქვესახეობა, ხოლო მეორეს – სპორტული; დანარჩენი ქვესახეობები – გამაჯანსაღებელი, შემეცნებითი და საქმიანი - ორივე სახეობისთვისაა დამახასიათებელი.

მეორე თავის – „აქტიურ ტურიზმში უსაფრთხოების მიმართ ორგანიზაციული მიდგომის საზღვარგარეთული გამოცდილება და ქართული სინამდვილე“ – პირველი ქვეთავი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: მარშრუტების გავლის დროს საშიში სიტუაციების წარმოქმნის მასშტაბები და მიზეზები.

აქტიურ ტურიზმში უსაფრთხოების პრობლემის აქტუალობა განპირობებულია საქართველოში ბოლო წლებში მარშრუტებზე მომხდარი უბედური შემთხვევების ზრდის ტენდენციით. ადამიანების რაოდენობის დადებითი დინამიკა, რომლებსაც იზიდავს აქტიური ტურიზმი, ამჟამად შეესაბამება მარშრუტებზე დაუგეგმავი სიტუაციების სიხშირის მატებას. ნათელია, რომ ყოველივე ეს გამოწვეულია თავად აქტიური ტურიზმის კონცეფციის ცვლილებით; აგრეთვე მის განვითარებაში მოწესრიგებულობის არარსებობით. ამგვარი სახეობის კომერციული ტურები, რომელთა შემუშავება უმეტესად არალიცენზირებული ორგანიზაციების მიერ ხდება და რომელთაც ყიდიან საკმარისი ტურისტული გამოცდილების არმქონე ადამიანები, ხშირად არ ითვალისწინებს უსაფრთხოების აუცილებელ ნორმებს და მოთხოვნებს. გარდა ამისა, აშკარა ხდება ტურისტული მარშრუტების შემუშავებისა და გავლის სპონტანურობა.

მარშრუტის გავლის პროცესში ტურისტზე ზემოქმედებას ახდენს მთელი რიგი არასასურველი რისკ-ფაქტორები. პირველ რიგში, ესაა გარე ფაქტორები, მაგალითად: ჩვეული კლიმატური სარტყელის შეცვლა, მოგზაურობის დროს რთული კლიმატური პირობები. მეორე რიგში – მარშრუტის ფიზიკური (ფიზიოლოგიური) ფაქტორების სიძნელები: მაღალი ფიზიკური დატვირთვები, კვების რეჟიმის ცვლილება, ჟანგბადის უკმარისობა

მთებში. მესამე რიგში – მარშრუტის სირთულის ტექნიკური ფაქტორები: რელიეფის არახელსაყრელი მახასიათებლები, მთიანი მასივები, საწყალოსნო წინაღობები. დაბოლოს მეოთხე – მოგზაურობაში ფსიქიკური დაძაბულობის ფაქტორები: ემოციური დატვირთვის გაზრდილი დონე და, როგორც შედეგი, - ნერვული სისტემის აღზნებადობა, რომელიც წარმოიქმნება ადამიანების მცირე ჯგუფის „შიგნით“ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყოფნის პირობებში, რაც შეზღუდული ურთიერთობის განცდას ქმნის.

ჩამოთვლილი ფაქტორები განეკუთნება სუბიექტური ხასიათის მქონეს. არსის მიხედვით ყველა სუბიექტურ ფაქტორს ვყოფთ შემდეგ ჯგუფებად:

- ტურისტების ტექნიკური შეცდომები;
- ჯგუფის ხელმძღვანელის ან სპეციალისტის ტაქტიკური შეცდომები, რომელიც ჯგუფს აწვდის აუცილებელ მომსახურებას (ტურისტული გემის კაპიტანი, გადაბმული ტურისტების წამყვანი, გამყოლი და სხვა);
- ტურისტების მიერ უსაფრთხოების ტექნიკის წესების არ დაცვა;
- ტურისტების არაკეთილისმყოფელი ემოციური და ფიზიკური მდგომარეობა.

მეორე ქვეთავში – „სპორტული ტურიზმის სირთულის კატეგორიები და ლაშქრობების უსაფრთხოების შეფასების პრინციპები“ – დასმული ტურისტული მარშრუტების შეფასებისადმი ტრადიციული მიდგომა სრულად აისახება სპორტული მარშრუტების ერთიან ქართულ კლასიფიკაციაში, რომელიც განსაზღვრავს ძირითად პრინციპებს, მოთხოვნებს და სპორტული ლაშქრობების კლასიფიკაციის ტექნოლოგიას.

წინაღობების გადალახვის სიძნელეებიდან, ლაშქრობის რაიონიდან, ავტონომიურობიდან, სიახლიდან, მარშრუტის სიგრძიდან და რიგი სხვა მაჩვენებლებიდან გამომდინარე, რომლებიც დამახასიათებელია ამა თუ იმ სახეობის სპორტული ტურიზმისათვის, ლაშქრობები იყოფა კატეგორიის მქონე და უკატეგორიო, დასვენების დღეების ლაშქრობათა ჯგუფებად. გარდა ამისა, ლაშქრობები იყოფა ტურიზმის სახეობების მიხედვითაც: საფეხმავლო, საწყალოსნო, სამთო, სათხილამურო, საველოსიპედო,

საავტომობილო, სამოტოციკლეტო, სპელეო და საიალქნო ჯგუფებად ანდა წარმოადგენდნენ მათ კომბინაციებს. სირთულის მიხედვით სპორტული ლაშქრობები იყოფა აღმავალი მიმართულებით სირთულის სამი დონედ და ექვს კატეგორიად. ლაშქრობების სირთულის კატეგორიები შეიძლება განისაზღვროს „კლასიფიცირებული სპორტული ტურისტული მარშრუტების“ და მათთან დაკავშირებული ლოკალური წინაღობების ჩამონათვალის შესაბამისად – ესენია უღელტეხილები, მწვერვალები, გამოქვაბულები. „ჩამონათვალთან“ შედარების დროს ტექნიკური სირთულე, მრავალფეროვნება და ლაშქრობის დროს წინაღობების ხასიათი, არ უნდა იყოს ნაკლები, ვიდრე მოცემული რაიონის იმავე სირთულის კატეგორიის კლასიფიცირებულ მარშრუტებში. ლაშქრობების სირთულის დონის მიხედვით კლასიფიკაცია გამოიყენება საბავშვო და სამოზარდო ტურიზმში, სადაც მარშრუტები განსაზღვრულია, როგორც კატეგორიის არმქონე.

საბავშვო და სამოზარდო ტურიზმის სპეციფიკის გათვალისწინებით და სირთულის დონის მიხედვით საიალქნო, ავტო, სპელეო და სამთო ტურისტული ლაშქრობების კლასიფიკაცია არ არსებობს. ძირითდი მაჩვენებლები, როლებიც განსაზღვრავს ლაშქრობის სირთულის კატეგორიას, წარმოადგენენ: ლაშქრობის სახეობას, რაოდენობას, მრავალფეროვნებას და გადასალახავი სიძნელეების კატეგორიას.

წინაღობების სიძნელის კატეგორია განისაზღვრება იმით, თუ კლასიფიკაციის და ტექნიკური ოსტატობის როგორი დონეა საჭირო მისი უსაფრთხოდ გავლისათვის. ტურიზმის ყოველ სახეობას აქვს მისთვის დამახასიათებელი წინაღობები, რომლებიც ასახავს მის სპეციფიკას. უფრო მაღალი კატეგორიის სირთულის მქონე მარშრუტები შეიცავს უფრო ძნელ წინაღობებს. მარშრუტებისთვის კატეგორიის დადგენის დროს, პირველ რიგში ითვალისწინებენ ისეთ წინაღობებს, რომლებიც აძლევს ტურისტს ტექნიკურ გამოცდილებას, რაც აუცილებელია შემდგომი მარშრუტების უსაფრთხოდ გავლისათვის.

კომბინირებულად ითვლება ლაშქრობა, რომლის შემადგენელი ნაწილები წარმოადგენს ტურიზმის სხვადასხვა სახეობის სრულფასოვან

სპორტულ მარშრუტებს, რომელთა სირთულე არ უნდა იყოს II კატეგორიაზე დაბალი. კომბინირებული ლაშქრობის სირთულის საერთო კატეგორია შეიძლება იყოს ერთი ერთეულით მეტი, ვიდრე მისი შემადგენელი ცალკეული ნაწილების მაქსიმალური სირთულე.

ტურიზმის ზოგიერთი სახეობისათვის (მაგალითად საფეხმავლო, სათხილამურო და საიალქნო) ლაშქრობის სირთულის კატეგორია მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ლაშქრობის გეოგრაფიულ რაიონზე, მის ავტონომიურობაზე, სიმაღლეების ჯამურ განსხვავებაზე, რომელიც ჯგუფმა მოაგროვა მარშრუტის გავლის დროს და ადგილობრივი ტერიტორიის სხვა მახასიათებლებზე. კატეგორიების მქონე ლაშქრობების მიმართ ძირითადად შემდეგი მოთხოვნები წარმოადგენს მარშრუტის:

- 1) შინაარსობრივი დატვითვის მქონე ნაწილის განგრძობადობა დღეებში;
- 2) სირთულის ექვსი კატეგორიის – 6,8,10,13,16 და 20 დღის ხანგრძლიობის შესაბამისად;
- 3) სიგრძე (კილომეტრაჟი) კონკრეტული სახეობების სპეციფიკის გათვალისწინებით.

მეორე თავის მესამე ქვეთავი – „ტურისტული მარშრუტების უსაფრთხოების დონის გამნსაზღვრელი წინააღმდეგობის კლასიფიკაცია“ – როგორც სათაური გვიჩვენებს აღნიშნული საკითხის კლასიფიკაციას ახდენს.

აქტიურ ტურიზმის სახეობების გამოყოფის პირველად კრიტერიუმებს მიეკუთვნება გადაადგილების მეთოდი (ტექნიკური საშუალებების გამოყენებით და მათ გამოყენების გარეშე) და მოცემული მარშრუტის შემცველი ლანდშაფტი. ამგვარად, გადაადგილების მეთოდის მიხედვით გამოყოფენ საიალქნო, ავტო, ველო და მოტოტურიზმს, სათხილამურო და საცხენოსნო ტურიზმს; ხოლო შემცველი ლანდშაფტის მიხედვით – სამთო, საწყალოსნო და სპელეოტურიზმს. გარდა ამისა, იშვიათი არ არის, ერთი მოგზაურობის განმავლობაში აქტიური ტურიზმის სახეობების კომბინირების შემთხვევები (სამთო–საწყალოსნო, საფეხმავლო–საწყალოსნო, ველო–სპელეო და სხვა).

ყოველი ტურისტული მარშრუტისათვის (ცალკეული საწყალოსნო

შემაღენლისათვის სახეობები კომბინირების შემთხვევაში) დამახასიათებელია განმსაზღვრელი წინააღმდეგობის საკუთარი არჩევანი, რომლებიც სპეციფიკურია ტურიზმის მოცემული სახეობისათვის, მოგზაურობის რაიონის მახასიათებლებისათვის, სეზონისათვის, და დიფერენცირებულია მარშრუტის გავლის სიძნელის მიხედვით – ყოველი ლოკალურ ან გრძელ წინააღმდეგობას აქვს სიძნელის საკუთარი კატეგორია.

აღნიშნული სამი ფაქტორის აღრიცხვაზე აგებულია სპორტული მარშრუტების ერთიანი ქართული კლასიფიკაცია, რომელიც გამიზნულია სპორტული ტურიზმის სპეციფიკური საჭიროებებისათვის – გავლის ტექნიკურობის აღრიცხვისა და დადასტურებისათვის, სხვადასხვა დონის სპორტულ-ტურისტული შეჯიბრებების ჩატარებისათვის, თანრიგებისა და წოდებების მინიჭებისათვის.

მაგრამ თანამედროვე აქტიური ტურიზმის განვითარების სპეციფიკა ისეთია, რომ შეიმჩნევა იმ ტურისტების რაოდენობის მკვეთრი შემცირება, რომლებიც მოტივირებულნი არიან საკუთარი დასვენების სპორტული შედეგებით. საქართველოში 2021 წლამდე პერიოდში სპორტულ-გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარების კონცეფცია აცხადებს, რომ „სპორტულ-გამაჯანსაღებელი ტურიზმით დაკავებული ორგანიზაციების რაოდენობა 1989 წელთან შედარებით სავარაუდოდ შემცირდა 3-4 ჯერ; ამავე დროს ორგანიზებულ და არაორგანიზებულ სპორტულ-გამაჯანსაღებელ ტურიზმებს შორის პროპორცია შეიცვალა 1/3-დან 1/9-მდე, შესამჩნევად შემცირდა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ტურიზმის, როგორც მასიური საზოგადოებრივი მოძრაობის, მართვადობა“, ანუ ტურისტების რაოდენობის და აქტიური ტურიზმის დინამიკის კლების შესახებ საუბარი არ არის, მიცირდება მხოლოდ ტურისტი სპორტსმენების წილი, რომლებსაც აკონტროლებს ტურისტულ-სპორტული კავშირი.

მეოთხე ქვეთავის სათაურია „საწყალოსნო ტურიზმში უსაფრთხოების ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები“.

მარშრუტზე ტურისტული ჯგუფის უსაფრთხოება პირობითად შეიძლება დავეყოს ობიექტურ და სუბიექტურ ჯგუფებად.

ობიექტური უსაფრთხოება ძირითადად ყალიბდება ტერიტორიის იმ მახასიათებლებზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც გაყვანილია მარშრუტი და ესენია: ტერიტორიის ფაქტიური სირთულეები, ორგანიზაციული შემუშავების დონე და უზრუნველყოფა (კადრებით, ინფორმაციით მატერიალურ-ტექნიკური მასალებით), მარშრუტის საკვანძო მაჩვენებლების ურთიერთშეთავსების დონე და ტურისტული ჯგუფის ამგვარ შეთავსებულობაზე გასვლის შესაძლებლობა.

სუბიექტური უსაფრთხოება წარმოადგენს ფაქტორების ერთობლიობას, რომლებიც ძირითადად დამოკიდებულია თავად ჯგუფზე – მათი ორგანიზებულობის დონეზე (თვითშემოქმედებითი, ორგანიზებული და სპონტანური), ხელმძღვანელის და მონაწილეების ტურისტულ გამოცდილებაზე.

აღნიშნული ერთობა ასევე მოიცავს ჯგუფთან ორგანიზაციულ მუშაობას მარშრუტის პრაქტიკული რეალიზაციის სტადიაზე, მარშრუტის გავლის დროს ტაქტიკური გადაწყვეტილებების და ტექნიკური მეთოდების ადეკვატურობას, ჯგუფის შიგნით ფსიქოლოგიურ კლიმატს, მარშრუტზე გარდაუვალ შეცდომებს და სხვადასხვა ხასიათის დარღვევებს.

ამ თავის ბოლო ქვეთავი ეხება მარშრუტების უავარიოდ გავლის აქტორებს. ჩავატარეთ მარშრუტის ავარიის გარეშე ჩატარების ფაქტორთ ქულებით შეფასება თანმიმდევრობით, მარშრუტის ორგანიზების სტადიაზე ფაქტორთა აღრიცხვიდან დაწყებული და მარშრუტის გავლის სტადიამდე დამთავრებული. წარმოვადგენთ მარშრუტების უავარიო ჩატარების ფაქტორების ქულებით შეფასების არგუმენტაციას მარშრუტის ორგანიზების სტადიაზე უავარიობის ფაქტორების მიხედვით:

- **ფაქტორი 1.** ტერიტორიების და კონკრეტული მარშრუტების შესახებ საწყისი ინფორმაციის ხარისხი და ხასიათი;
- **ფაქტორი 2.** ტურისტული ჯგუფის ორგანიზებულობის დონე;
- **ფაქტორი 3.** მონაწილეების მომზადების დონე, ტურისტული გამოცდილების დაგროვების გათვალისწინებით;
- **ფაქტორი 4.** მონაწილეთა ფსიქოლოგიური თვისებადობა და ჯგუფის

შეკრულობა.

უავარიობის ფაქტორები მარშრუტის გავლის სტადიაზე:

- ფაქტორი 5.** მარშრუტის გავლის დროს ტექნიკურ–ტაქტიკური გადაწყვეტილებების ადექვატურობა;
- ფაქტორი 6.** მოძრაობისა და ტვირთების გადანაწილების გრაფიკის შესრულება;
- ფაქტორი 7.** წინაღობების რეალური სირთულის შესაბამისობა მოსალოდნელი კატეგორიების სირთულებთან;
- ფაქტორი 8.** ეკიპაჟების სხვა მცურავ საშუალებაში გადასმის აუცილებლობა და მცურავი საშუალებების გაყვანა როცა ადგილი აქვს უფრო მაღალი სირთული წინაღობების გავლას;
- ფაქტორი 10.** დაზღვევის განხორციელების სიზუსტე და სისწორე.

მარშრუტის უავარიოდ ჩატარების ტექნიკური ფაქტორები:

ჯგუფს ქონდა მარშრუტის გავლისათვის და დაზღვევის ორგანიზებისათვის საჭირო აუცილებელი აღჭურვილობა, სათადარიგო ნიჩბები და სარემონტო კომპლექტი, კავშირის დამყარების საშუალებები: ფიჭური ტელეფონები და რადიოსადგურები. Z=1.0.

ამგვარად, მარშრუტის უავარიოდ გავლის გასაანგარიშებელმა ფაქტორმა შეადგინა: $F=(X+Y) \times Z=93$ ქულა.

მეთოდის შესამოწმებლად ექსპერტების სახით გამოკითხულები იქნენ: მარშრუტზე ჯგუფის ხელმძღვანელი, ქალაქ ფოთისა და თბილისის საწყალოსნო ტურისტები, რომლებსაც ქონდათ III კლასის სირთულის საწყალოსნო მარშრუტების გავლის გამოცდილება, “სათავგადასავლო კლუბის “ჯომარდი“, რაფტინგ კლუბის „ჯომარდი“ წარმომადგენლები – რომლებიც ამარაგებენ წევრებს მარშრუტზე გამოყენებული აღჭურვილობით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტურიზმის მეცნიერ-სპეციალისტები (სულ 10 ადამიანი).

ექსპერტებს დაესვათ კითხვა: „თქვენი შეხედულებით, როგორია მოცემული მარშრუტის უსაფრთხოების დონე 100-ქულიანი სისტემით?“.

ტესტირების შედეგებმა გვიჩვენა, რომ მარშრუტის გავლის უსაფრთხოების დონის ექსპერტული შეფასება საშუალოდ შეადგენს 82 ქულას. ჩვენს მიერ მიღებული შედეგების, ექსპერტების მიერ მიღებულ შედეგებთან შედარების განსხვავებამ 11 ქულა შეადგინა. განსხვავება შეიძლება ავხსნათ იმით, რომ შეთვაზებული მეთოდიკა არ ითვალისწინებს რისკის არაპროგნოზირებად ფაქტორებს, ხოლო ექსპერტები ინტუიციურად ითვალისწინებენ მათ. გამოთვლების პრაქტიკული შემოწმება ჩატარებულ იქნა მარშრუტის გავლის დროს. საწყალოსნო მარშრუტი გავლილი იყო ინციდენტების გარეშე.

ამგვარად, ორმა დამოუკიდებელმა მეთოდმა (ექსპერტული შეფასებისა და უშუალო დაკვირვებების) დაადასტურეს ჩვენს მიერ შემუშავებული საწყალოსნო მარშრუტების უსაფრთხოების შეფასების მეთოდიკის ადეკვატურობა, და მიზანშეწონილობა.

მესამე თავი – „აქტიური ტურიზმის უსაფრთხოების კონცეფცია და რეგიონულ დონეზე მისი განხორციელების მეთოდები“ – 5 ქვეთავისაგან შედგება. პირველი ქვეთავი („აქტიური ტურიზმის განვითარების პრობლემები“) მოიცავს სოციალური პოლიტიკის გატარების საკითხებს, რომელიც მოიცავს სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის რეკრეაციული განვითარების პოლიტიკას, სავსებით შეიძლება ეთხმებოდეს აქტიური ტურიზმის პოზიტიური სახის შექმნას. რეგიონში თანდათანობით ხდება პირობების ფორმირება თვითშემოქმედებითი ტურიზმის ტრადიციების აღორძინებისათვის. მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია, ამგვარ ტურიზმს ქონდეს ორგანიზებულობის უფრო მეტი დონე, რაც ტურისტულ პრაქტიკაში ყველა მონაწილე აგენტის მოთხოვნებს პასუხობს.

ამასთან დაკავშირებით, ძალზე მნიშვნელოვანად გვეჩვენება სპონტანური აქტიური ტურიზმის პროფილაქტიკა. თუ შევაფასებთ მთლიანად ქვეყანაში არსებულ სიტუაციას, ნათელი ხდება, რომ ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარებაში დადებითი დინამიკა შეიმჩნევა. როგორც ეკონომიკის დარგი და ბუნებათსარგებლობის მიმართულება, იგი ვითარდება მომსახურების წარმოების მოცულობისა და მათი ასორტიმენტის გაფართოების ზრდის, აგრეთვე ტურისტული პროდუქტის გართულების

მიმართულებით. ამავე დროს, პრაქტიკულად ყველა დონეზე იგრძნობა კვალიფიციური კადრების დეფიციტი. ეს არის ტურიზმის მსოფლიო ინდუსტრიის საყოველთაოდ აღიარებული ერთერთი პრობლემა. საქართველოსათვის, რომელიც თვიდან აგებს ტურისტული ინფრასტრუქტურას, ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია.

ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების პროცესში ფორმირდება ხუთი ძირითადი პრობლემა. კვალიფიციური კადრების დეფიციტის პოზიციიდან ისინი შემდეგი სახით გამოიყურება:

პირველი. ზოგიერთ ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარების კონცეფციის არასრულყოფილება, პირველ რიგში, განპირობებულია „ტურიზმზე ორიენტირებული“ კადრების დეფიციტით იმ სტრუქტურებში, რომლებიც მოწოდებულია, შეიმუშაონ და განახორციელონ მოცემული კონცეფციები. დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებენ ტურიზმის სფეროს, აღნიშნავენ მხოლოდ მისი განვითარების საერთო მიმართულებას; კანონზომიერია, რომ ისინი არ ასახავენ კერძო მომენტებს, რომლებიც ჩვეულებრივად არ არის უმნიშვნელო და დამახსიათებელია სხვადასხვა ტერიტორიისა და მუნიციპალური რაიონებისათვის. იმავე დეფიციტის შედეგად ტურიზმის განვითარების ტერიტორიული კონცეფციები არც თუ იშვიათად წარმოადგენენ სახელმწიფო კონცეფციების დუბლირებულ ვარიანტს, ტერიტორიის სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე. ამგვარი კონცეფციების რეალიზაცია ხშირად არ არის დამოკიდებული კონკრეტულ ამოცანებზე; არამედ დამოკიდებულია ადმინისტრაციის განკარგულებაში არსებულ კადრებზე და პროფილით შედარებით მსგავს სტრუქტურებზე. ამასთან დაკავშირებით წარმოიქმნებიან მუშაობის სხვადასხვა მიმართულებების მქონე სტრუქტურები (კომიტეტები, განყოფილებები, დეპარტამენტები), რომლებიც ხშირად საკმაოდ შორს დგანან ერთმანეთისაგან. შესაძლოა, ვინმემ ეს სიტუაციის უტრირებაში ჩამოგვართვას, მაგრამ შევეცდებით, მაქსიმალურად ზუსტად მოვნიშნოთ პრობლემა: აკავშირებენ რა ტურიზმს უკვე არარსებულ ეკონომიკურ სისტემასთან, ხოლო შექმნის პროცესში მყოფი ეკონომიკის დამოუკიდებელ დარგს კი აღიქვამენ მოქალაქეების მასობრივი გატაცების სფეროდ,

ძველი ყაიდის აზროვნების მქონე კადრები, რიგ შემთვევაში არ თვლიან საჭიროდ, ხელი შეუწყონ ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებას. იმისათვის, რომ ამაში დავრწმუნდეთ, საკმარისია შევისწავლოთ სახსრები, რომლებიც ნებისმიერი დონის ადმინისტრაციის ბიუჯეტში ტურიზმის განვითარებაზეა გამოყოფილი.

მეორე. ტურისტული ინფრასტრუქტურის ფორმირება ასევე მჭიდროდაა დაკავშირებული კადრებით უზრუნველყოფასთან. საერთოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი ინფრასტრუქტურა – ეს არის არა მარტო მატერიალური სფერო თავისი დანახარჯების და დანაკარგების ეკონომიკური გამოხატულებით, არამედ უპირველეს ყოვლისა –კადრები. კვალიფიციური თნამშრომლების გარეშე დეგრადირებას განიცდის ნებისმიერი არსებული ინფრასტრუქტურა და არაპროპორციულად ვითარდება ახალიც; ამავე დროს ამან შეიძლება მიიღოს სავსებით არამიმზიდველი ფორმები. ცნობილია, რომ ქართული ფირმების აბსოლუტური უმრავლესობა მუშაობს უცხოური ტურისტების შემომავალ ნაკადზე. გარდა ამისა, მესაკუთრეები, რომლებსაც პოტენციურად შესწევთ უნარი, მონაწილეობა მიიღონ ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნაში (რომელიც მიმართულია საზღვარგარეთ ტურების გაყიდვაზე), კადრებით უზრუნველყოფის საქმეში იმავე შეჭირვებულ მდგომარეობაში არიან, როგორც სახელისუფლებო სტრუქტურები. ეს აგრეთვე აიხსნება საჭირო სპეციალისტების დეფიციტით.

მესამე არის აქტიური ტურიზმის აღორძინებისა და განვითარების პრობლემა. აქტიური ტურიზმი დღეს არის საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის ყველაზე ნაკლებად განვითარებული დარგი. აქტიურ მარშრუტებზე კომერციული ჯგუფების წილი ძალზე მცირეა. აღნიშნული აიხსნება მრავალი ფაქტორით, მათ შორის იმითაც, რომ რთული პირობებია აქტიური მარშრუტების კვალიფიციურად შედგენასა და რეალიზაციაში, როცა არ არსებობს ტურისტული ინფრასტრუქტურა. არანაკლებ მნიშვნელოვანს წარმოადგენს სიმწელებები, რომლებიც გვხვდება აქტიურ ტურებზე მოთხოვნილების ფორმირებაში. ჩვენი გამოკვლევების შედეგებიდან ჩანს, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში გამოკითხულების დაახლოებით 80%

თვლის, რომ გადაადგილება დასახლებული პუნქტების მიღმა ტექნიკური საშუალებების დახმარების გარეშე შეუძლებელია წელიწადში 6 თვის განმავლობაში; მენეჯერების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც შეიმუშავებენ და თავაზობენ ტურებს (რაც საკმაოდ სამაგალითოა) დარწმუნებულები არიან იმავეში. შეიმჩნევა კადრების თითქმის სრული არარსებობა, რომლებიც მომზადებულები არიან ჯგუფებთან სავსე პირობებში სამუშაოდ.

სწავლება ტურიზმის რეგიონული ცენტრებს არ გააჩნია ბაზები, რომელთა შექმნა რეალურად მიგვაჩნია ადრე არსებული ტურისტების სადგურებისა და პიონერთა ბანაკების ბაზაზე. ისედაც არასახარბიელო სურათს ავსებს ე. წ. სპონტანური ტურისტული ჯგუფები, რომლებსაც ორგანიზებული და თვითშემოქმედებითი ჯგუფებისგან განასხვავებს მონაწილეების ცვლადი შემადგენლობა და რაოდენობა (როგორც წესი, არაპროპორციული მარშრუტის ხასიათისა და სირთულის მიხედვით), მკაფიო ხელმძღვანელობის არარსებობა (ხშირად – არაფორმალური ლიდერობა), მარშრუტის პროექტირების და დაგეგმვის თითქმის სრულად არარსებობა და ჯგუფის მხრიდან მიზანმიმართული მომზადების უგულებელყოფა; ჯგუფის გამაერთიანებელი ფსიქოლოგიური მოტივაციის არარსებობა.

არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ განსაკუთრებული და ობიექტური და სუბიექტური ხასიათის დაუგეგმავი სიტუაციების უმეტესობა ხდება სპონტანურ ჯგუფებში; განსაკუთრებული სიტუაციების მიხედვით მეორე ადგილზეა – თვითშემოქმედებითი ტურისტული ჯგუფები (აქ ძირითდად შეიმჩნევა ობიექტური ხასიათის განსაკუთრებული სიტუაციები, რომლებიც ჯგუფზე ზემოქმედებენ გარედან).

მეოთხე. საქართველოში ტურისტული პროდუქტის ტერიტორიული დიფერენციაციის პრობლემა ამა თუ იმ დონით დამახასიათებელია ნებისმიერი ტერიტორიისათვის. საკვლევ მხარეში სიტუაციის ანალიზმა გვიჩვენა მრავალი ბუნებრივი რესურსის ამოწურვა და მნიშვნელოვანი სოციალური დამაბულობა. წიაღისეულ სიმდიდრეთა მარაგების რაოდენობა ჯერ არ არის გამოთვლილი, სამაგიეროდ, მოხდა საკვლევ რეგიონის კომ-

პლექსური შეფასება, რომელიც მიმართულია მისი ყველაზე ეფექტური განვითარების და ოპტიმალური სპეციალიზაციის პროგნოზირებაზე. წარმოდგენილი გამოკვლევების მიხედვით – ტურისტული პოტენციალის თვალსაზრისით, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე შეიძლება პირობითად დავყოთ სამ ნაწილად – ესენია აგრარულ-სამრეწველი სამხრეთ-დასავლეთი სამეგრელო, სამრეწველო ცენტრალური სამეგრელო და „ბუნებრივ-ისტორიული“ ჩრდილოეთი - ზემო სვანეთი. მოცემული ნაწილებიდან თითოეულისათვის დამახასიათებელია რესურსების საკუთარი ჩამონათვალი. ავტორის მიერ დადგენილია, რომელი რესურსის გამოყენებაა (რესურსების ჯგუფი) ყველაზე უფრო პერსპექტიული, რომელს შესწევს უნარი, უზრუნველყოს ტერიტორია მუდმივი ან თუნდაც საკმაოდ ხანგრძლივი ეკონომიკურ-სოციალური აღმავლობით, ხელსაყრელი ეკოლოგიური სიტუაციის შენარჩუნების ფონზე. მოცემულ ეტაპზე ტერიტორიებზე, რომლებიც იმყოფება ცენტრალურ დაქვემდებარებაში, პრაქტიკულად არ არსებობს მუშაკთა კონტინგენტი, რომლებსაც შეუძლიათ სწორად დაასაბუთონ ტერიტორიის ახალი სპეციალიზაცია, მით უმეტეს - უზრუნველყონ მისი ფორმირება.

ამგვარად, ახლად აღორძინებულ ხეტყის დამზადებას, ეკოლოგიური სიტუაციის გაუარესების შედეგად და რესურსების ამოწურვადობის გამო, უნარი შესწევს მხოლოდ დროებით დაეხმაროს ტერიტორიას, მაშინ როცა ბუნების ძეგლები, ნაკრძალები, ისტორიულ-კულტურული ობიექტები უახლესი ისტორიის ძეგლები, რომლებიც მრავლადაა მხარეში, შესაბამისი მოვლის და რესტავრაციის პირობებში და ადეკვატური დასაბუთების თანხლებით, რომელშიც გათვალისწინებულია გამოყენების რეჟიმი და დაცვა, შეუძლიათ ბევრად უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფუნქციონირება. ჩვენი აზრით, აღნიშნული პრობლემა დაკავშირებულია ადგილობრივი ადმინისტრაციების ინერტულობასთან, შენარჩუნებულ ტენდენციებთან ყველა დონეზე მიღებულ იქნას ყველაზე მარტივი გადაწყვეტილება და ტრადიციული მიმართულებით მოქმედებებისაკენ მისწრაფება, რაც ასევე მოწმობს კვალიფიციური კადრების დეფიციტს.

ამავე თავის მეორე ქვეთავია – „ტურისტული პრაქტიკის უსაფრთხო-

ების საკადრო უზრუნველყოფა“ .

ამჟამად ჩამოყალიბებულ სიტუაციაში ყველაზე უფრო ლოგიკური იქნებოდა შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

□ **პირველ რიგში**, უნდა მოვახდინოთ ისეთი ცნებების ზუსტი განცალკევება, როგორცაა „ტურიზმი“, „კულტურა“ და „სპორტი“ და მათი საქმიანობის სფეროები, რაც საშუალებას მოგვცემს, მიზანმიმართულად მოვამზადოთ სპეციალისტები თითოეული მათგანისათვის, რა დროსაც ადგილი არ ექნება უსარგებლო ჩანაცვლებებს და საქმიანობის მიმართულებების აღრევას.

□ **მეორე რიგში**, საჭიროა დაიწყოთ კადრების მომზადება (მათ შორის უმაღლეს სასწავლებლებშიც) სპეციალობით „აქტიური ტურიზმი“, რაც უნდა იქნას შეხამებული სპორტულ–ტურისტული ნორმატივების შესრულების სწავლებასთან; აგრეთვე უნდა ხდებოდეს იმ უნარ-ჩვევების სწავლება, რომლებიც დამახასიათებელია სასწავლო–მეთოდური, ტურისტული და სამხარეთმცოდნეო საქმიანობისათვის. ამავე დროს აუცილებელია მოთხოვნების გამკაცრება მოსწავლეების ფსიქოლოგიური და ფიზიკური მომზადების დონისადმი. მიზანშეწონილია, დამსაქმებლებს დაევალოთ სამუშაოდ მხოლოდ განსწავლული და სერთიფიცირებული სპეციალისტების მიღება (მით უმეტეს, რომ ამ მიმართულებით ტენდენცია ამჟამად ობიექტურად გამოჩნდა). ეს საშუალებას მოგვცემს, უკვე 10–15 წელიწადში მივიღოთ მაღალკვალიფიციური კადრების ახალი თაობა.

□ **მესამე რიგში**, სპეციალურად მომზადებული კადრების არსებობის შემთვევაში, რეალურად გახდებოდა შესაძლებელი სოციალური ტურიზმის აღორძინება. ვფიქრობთ, რომ მისი განვითარება წარმართება ხუთი ძირითადი მიმართულებით: საბავშვო და მოზარდთა ტურიზმი, ზრდასრულთა თვითშემოქმედებითი ტურიზმი (ტურისტული კლუბების დონეზე), პროფილაქტიკურ–გამოსასწორებელი (კერძოდ მისი გამოცდილება წარმოდგენილია ჰოლანდიისა და სკანდინავიის ქვეყნებში), საოჯახო ტურიზმი დაბოლოს სამკურნალო-სარეაბილიტაციო ტურიზმი (ინვალიდთა ტურიზმი, საცხენოსნო ტურები და სხვა გამაჯანსაღებელი მიმართულებები).

□ მეოთხე რიგში, კადრების ბაზაზე, რომლებიც მომზადდებიან სპეციალ-
ლობით „აქტიური ტურიზმი“ შესაძლებელია იქნებოდა პროფესიების დიფე-
რენცირება, მაგალითად: „აქტიური ტურიზმის ინსტრუქტორი“ და „გიდი-
ექსკურია მძღოლი“, ანუ ობიექტური განცალკევება, რაც გამოყენებადია
პასიური და აქტიური ტურიზმის სახეობებისათვის.

მესამე ქვეთავი ეხება რეგიონში ტურიზმის უსაფრთხოების ტერიტორი-
ული ორგანიზების პერსპექტივასა და რეალობას.

უსაფრთხოება ტურიზმში განისაზღვრება არა მარტო აუცილებლობით
საკადრო პოტენციალის რეალიზაციის გაუმჯობესებითა და გამდიდრებით,
არამედ მთელი რიგი სამართლებრივი და ადმინისტრაციული ღონისძიებე-
ბით, როგორცაა:

- ორგანიზებული აქტიური (კომერციული და არაკომერციული) ტუ-
რიზმისათვის უსაფრთხოების ერთიანი ნორმების შემუშავება და
დამტკიცება;
- თვითშემოქმედებითი აქტიური ტურიზმისათვის მისი სპეციფიკუ-
რობის გათვალისწინებით, უსაფრთხოების ერთიანი ნორმების
შენუშავება და დამტკიცება;
- საკონტროლო–სამაშველო სამსახურის ინსტიტუტების აღორძინება
(მათ შორის მოხალისეობაზე დაყრდნობით შექმნილი ფორმირებე-
ბის) და მათი მოწესრიგებული მომზადება და ატესტაცია;
- სამძებრო–სამაშველო და რეგულარულ საწყისებზე მოქმედი საკონ-
ტროლო–სამაშველო სამსახურებისთვის ორგანიზაციებზე იურიდი-
ული ზემოქმედების ინსტრუმენტების მინიჭება და მათ მიერ
მარშრუტების გავლა ორგანიზებულ ტურისტულ ჯგუფებთან ერთად;
- სამძებრო–სამაშველო და რეგულარულ საწყისებზე მოქმედი საკონ-
ტროლო–სამაშველო სამსახურებისთვის იმ იურიდიული უფლების
მინიჭება, რომელიც საშუალებას აძლევს მათ, არ დაუშვან იმ ტურის-
ტული ჯგუფების მარშრუტზე გასვლა, რომლებიც: ა) არასაკმარისად
არიან მომზადებულები და აღჭურვილები, ბ) ავლენენ არაადეკვატურ
ქცევას, მიუხედავად მათი ორგანიზების დონისა (ძალისმიერად

აკრძალვის ჩათვლით);

- აქტიური ტურისტული მარშრუტების ორგანიზებასა და განხორციელებაში ტიპური შეცდომების სტატისტიკური აღრიცხვა, რომლებიც საერთოდ დამახასიათებელია მოცემული ტერიტორიისათვის;
- შეცდომების პროფილაქტიკისათვის ღონისძიებების და რეკომენდაციების შემუშავება და მათი მიწოდება ტურისტული საზოგადოებისათვის.

აქტიური ტურიზმის მარშრუტების გარე უსაფრთხოების უზრუნველყოფის ტაქტიკური სისტემის შექმნა – ეს არის სამმებრო და საკონტროლო სამაშველო სამსახურების სეზონური და მუდმივი დისლოკაციის ბაზების ქსელის შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფილნი იქნებიან მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო საკადრო და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით. ასევე ძალზე მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარებისათვის არსებითი პირობების კვლევითი შეფასება, რომელსაც უნარი აქვს ობიექტურად დაახასიათოს ტერიტორიის ტურისტულად ორგანიზების წინაპირობები ამ მიმართულებით შესასწავლი ტერიტორიის ფარგლებში. შესასწავლი მოვლენების და პროცესების მოწესრიგება და სისტემატიზაცია წარმოადგენს მრავალი კვლევის ლოგიკურ დასასრულს. მაგრამ მათ აუცილებლობას მართო ეს არ განაპირობებს. სისტემატიზაცია, როგორც შესასწავლი საგნის გააზრების ერთერთი პროდუქტიული მეთოდი, თავისი არსით არის შესწავლისათვის აუცილებელი მასშტაბური და მოცულობითი ინფორმაციის მოკლედ გადმოცემის მეთოდი. კვლევებში სისტემატიზაციის ყველაზე ხშირად გამოყენებულ მეთოდებს წარმოადგენს სხვადასხვა სახის კლასიფიკაციები (სისტემური მიდგომა) და პროცესებისა და მოვლენების ტერიტორიული დიფერენციაცია (სივრცითი მიდგომა). კლასიფიკაცია შეიძლება აგებული იყოს ერთდროულად კოორდინაციისა და იერარქიის, ანდა ართარტი მათგანის მიხედვით.

მესამე თავის **მეთხე ქვეთავი** – „უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტაში და ტერიტორიის ფუნქციურ ოპტიმიზაციაში ტურისტულ-რეკრეაციული ზონების შექმნის როლი“ – მოიცავს მეტად აქტუალურ საკითხებს.

ამჟამად საზოგადოების ცხოვრებაში შეიმჩნევა დიდი ცვლილებები, რაც ბევრ რამეში ვლინდება, მათ შორის ტერიტორიული ორგანიზების აქტიურ ევოლუციაში, რასაც მოსდევს ახალი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის პრობლემების წარმოქმნა.

□ პირველ რიგში, ესაა ტერიტორიაზე მოსახლეობის არათანაბარი განსახლება, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და ტრანსპორტის დარგების არაპროპორციული განვითარება, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს ბუნებრივ ლანდშაფტებზე. შესაბამისად, ადგილი აქვს ბუნებრივ ტერიტორიებზე როგორც პირდაპირ, ასევე ირიბ ანთროპოგენურ ზემოქმედებას, რომლებიც ხასიათდება ფართობებზე წერტილოვანი ან წრფივი ანდა კომპლექსური ლოკალიზაციით;

□ მეორე რიგში, სახეზეა რიგი ტერიტორიების სამრეწველო პოტენციალის ამოწურვა, რომელიც დაკავშირებულია მინერალური რესურსების ამოღებასთან, რაც კანონზომიერია და მივყავართ მატერიალური წარმოების შეკვეცის ანდა ორიენტირების შეცვლის აუცილებლობამდე;

□ მესამე რიგში, გარკვეული სიძნელეები შეიმჩნევა სოფლის მეურნეობის განვითარებაში, რომელიც საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რათა სასოფლო გარემოში შენარჩუნებულ იქნას წარმოების ეკონომიკური მიზანშეწონილობის საჭირო დონე და მოხდეს ქალაქში მაცხოვრებელი მოსახლეობის სურსათით დაკმაყოფილება;

□ მეოთხე რიგში, საკმაოდ მოცულობითი ტერიტორიებისათვის აღნიშნული მასშტაბური პრობლემების შედეგად აქტუალური რჩება მოსახლეობის დასაქმების პრობლემა და მასთან დაკავშირებული ცხოვრების დონის შემცირება.

ხსენებული პრობლემების გადაწყვეტის ერთერთ მეთოდად აღიარებულია ტურიზმის განვითარება, როგორც მოსახლეობის საქმიანობის ერთერთი სახეობა და პერსპექტივაში – ეს უნდა გახდეს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ტურისტული ტერიტორიების ერთგვარი სპეციალიზაცია. მაგრამ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ „ზემოდან“ ტურიზმის განვითარება (უფრო სწირად მისი დეკლარირება) თავისთვად არ წარმოადგენს პრობლემის

გადაწყვეტას. ტერიტორიული ორგანიზების სრულყოფაში ბევრად უფრო ეფექტურს წარმოადგენს ტერიტორიის ნაწილის ფუნქციონალური სტატუსის მიზანმიმართული შეცვლა.

ამგვარი მიზანმიმართული ცვლილების ერთერთი გზა არის სპეციალიზირებული ტურისტულ-რეკრეაციული ზონების გამოყოფა. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია სპეციალური შესწავლა, რომელიც გამოავლენდა ტერიტორიული ორგანიზების კონცეპტუალურ სტრუქტურას, როგორც სტატიკურ მდგომარეობაში ასევე დინამიკაში.

ბოლო ქვეთავი - „რეგიონში ყველაზე მონახულებადი ტურისტული მარშრუტების უსაფრთხოების მიღწევისათვის აუცილებელი ღონისძიებები“ – მოიცავს მეტად მნიშვნელოვან საკითხებს ტურიზმის აღორძინებისათვის.

ამჟამად, ქართველი და უცხოელი ტურისტებისათვის თანამედროვე ღონის უსაფრთხოების სისტემის ფორმირების საკითხები წარმოადგენს ტურიზმის სფეროში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან სახელმწიფო ამოცანას.

რადგან ექსტრემალური სახეობის დასვენებას საქართველოში არ არეგულირებს კანონი, ხოლო აღნიშნული დასვენების სახეობა ხშირ შემთხვევაში ახლოსაა ტურიზმთან, ამიტომ ტურიზმში არსებული ნორმატიული დოკუმენტები რაღაც ღონით შეიძლება გამოყენებულ იქნას დასვენების ექსტრემალური სახეობის უსაფრთხოების საკითხების განხილვისას.

უსაფრთხოების უზრუნველყოფა მიიღწევა ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებით ეკონომიკური, პოლიტიკური, ორგანიზაციული, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა სახის ღონისძიებების სიტემაში, რომელიც პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესებისადმი შესაბამისი საფრთხეების მუქარის ადეკვატურია.

უსაფრთხოება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას ორი გზით:

- საფრთხის წყაროს - სტიქიური უბედურობების, ავარიების, კატაკლიზმებისა და ნებისმიერი სტრესული მდგომარეობის შესაძლებლობის თავიდან აცილებით;
- საფრთხეებისაგან დაცვების უნარების ამაღლება და მდგრადი დაცვა.

სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობა მხოლოდ უახლოვდება ღონისძიებების კომპლექსის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს მოგზაურობის უსაფრთხოებას. ამიტომ, უნდა დავიწყოთ რეგიონული დონიდან, სადაც შესაძლებელია მივიღოთ ტურიზმის უსაფრთხოებისათვის ყველაზე ეფექტური ზომები, რადგანაც არის შესაძლებლობა, გათვალისწინებულ იქნას კონკრეტული ტერიტორიის მახასიათებლები.

დასკვნა

მთლიანობაში სოციალური პოლიტიკის გატარება, რომელიც მოიცავს ტერიტორიის რეკრეაციული განვითარების პოლიტიკასაც, სავსებით შეიძლება იქნას შეთხზებული აქტიური ტურიზმის დადებითი იმიჯის შექმნასთან. საკვლევი მხარის საზღვრებში ხდება თვითშემოქმედებითი ტურიზმის აღორძინების პრობლემის ფორმირება, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი ტურიზმი იყოს უფრო ორგანიზებული, რომელიც მეტად უპასუხებს ტურისტულ პრაქტიკაში მონაწილე ყველა აგენტის მოთხოვნილებას. ამასთან დაკავშირებით ვთვლით, რომ ძალზე მნიშვნელოვანია სპონტანური ტურიზმის განვითარების პროფილაქტიკა.

ტურიზმის განვითარება დიდად არის დამოკიდებული არსებული პრობლემების გადაწყვეტაზე, რომლებიც ხელს უშლიან ამ პროცესს:

- **პირველ რიგში**, ეს არის თავად ტურიზმის განვითარების კონცეფციის არასრულყოფილება, რომელიც არ ითვალისწინებს ტერიტორიის სპეციფიკას და პოზიტიურად არ ზემოქმედებს საბიუჯეტო სახსრების გადანაწილებაზე, რომლებიც ამ საკითხის გადაწყვეტისადმი უფრო ადეკვატური მიდგომის პრობლემებში ხელს შეუწყობდა ტურიზმის განვითარებას;

- **მეორე რიგში**, არსებობს ტურისტული ინფრასტრუქტურის ფორმირების პრობლემა, რომელიც ძალზე მჭიდროდაა დაკავშირებული საკადრო უზრუნველყოფასთან;

- **მესამე რიგში**, თავს იჩენს აქტიური ტურიზმის აღორძინების აუცილებლობის პრობლემა, რომელიც 90-იანი წლების მიჯნამდე საკუთარ თავს

უფრო აშკარად ავლენდა, მაგრამ ტურიზმის კომერციალიზაციასთან დაკავშირებით გარდაიქმნა საქართველოს ტურისტული ინდუსტრიის ყველაზე ნაკლებად განვითარებულ შემადგენელ ნაწილად;

□ არსებობს **მეოთხე** პრობლემაც, რომელიც შეიძლება ფორმულირებულ იქნას, როგორც ტურისტული პროდუქტის ტერიტორიული დიფერენციაციის პრობლემა.

წარმოდგენილი გამოკვლევის მიხედვით – ტურისტული პოტენციალის თალსაზრისით, საკვლევი მხარე შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად:

1. ჩრდილო-დასავლეთის ზონა, რომელიც განლაგებულია ზემო სვანეთში; ამ ზონის ტურისტულად მიმზიდველი ობიექტებს წარმოადგენენ 300 მეტრი და ზემოთ სიმაღლეზე განლაგებული გამოქვაბულები, კლდოვანი გამოსასვლელები და ბილიკები. ჩვენი აზრით, ამ ზონას უნარი აქვს განავითაროს საფეხმავლო, საველოსიპედო და სათხილამურო ტურისტული მარშრუტების სპეციალიზაცია. აქ შეზღუდულია სარკინიგზო მიმოსვლა, სამაგიეროდ სავსებით შესაძლებელია სპელეოლოგიური, საწყალოსნო, საფეხმავლო, საველოსიპედო და სათხილამურო ტურისტული მარშრუტების განვითარება;

2. სამხრეთ-დასავლეთი ზონა, რომელიც განლაგებულია მდინარე ენგურის გასწვრივ. სამხრეთი და დასავლეთი შემოსაზღვრულია მუნიციპალური ტერიტორიების ადმინისტრაციული საზღვრით; ტურისტულად მიმზიდველი ობიექტებია ზუგდიდი, ანაკლია, ჯვარი, მდ. ენგური სანაპირო კლდეებით, რომლის სავარაუდო სპეციალიზაციაა – საწყალოსნო, საფეხმავლო, და სათხილამურო ტურისტული მარშრუტები.

სიტუაციის გაუმჯობესება შესაძლებელია ერთობლივი ღონისძიებების მეშვეობით ტურისტული ინფრასტრუქტურის სრულყოფის საფუძველზე, რომელიც მხარეში ტურიზმის გავითარებისათვის ახდენს სიტუაციის ოპტიმიზაციას. ეს არის ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია განსაკუთრებით დაცული ტერიტორიების რაოდენობის მატებაზე და ბუფერული ზონების შექმნაზე თვისუფლად მონახულებად და ნაკრძალ ტერიტორიებს შორის; ტურისტულად ორიენტირებული ტერიტორიების შექმნაზე მათი ტურისტული მიზნებიდან გამომდინარე.

ფორმულირებულმა პრობლემებმა გამოავლინა საკვანძო ფაქტორი, რომელსაც უნარი აქვს, გავლენა იქონიოს ტურიზმის განვითარებაზე - ეს ფაქტორია კადრების არარსებობა. ჩვენ ვიხრებით იმისკენ, რომ მოცემული ფაქტორი განვსაზღვროთ, როგორც ტურისტული უსაფრთხოების პრაქტიკაზე გავლენის მქონე.

ტურიზმის ტერიტორიული ორგანიზების რეალობა და პერსპექტივები მჭიდროდ არის დაკავშირებული ტურისტული პრაქტიკაში უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტასთან, რომელიც განისაზღვრება არა მხოლოდ საკადრო პოტენციალის გაუმჯობესების აუცილებლობით, არამედ რიგი სამართლებრივი და ადმინისტრაციული ღონისძიებებით. მათ შორის მნიშვნელოვანია კომერციული და თვითშემოქმედებითი ტურიზმის უსაფრთხოების ნორმების დამტკიცება, იურიდიული ზემოქმედების ინსტრუმენტების ფორმირება, რომლებიც ხელს უწყობენ ამ ნორმების გამოყენებას, აღრიცხვას და აქტიური ტურისტული მარშრუტების ორგანიზებასა და განხორციელებაში ტიპური შეცდომების დაშვების პროფილაქტიკას. სავსებით შესაძლებელია, ამ უკანასკნელს ხელი შეუწყოს უსაფრთხოების შეფასების მეთოდიკამ და ჩვენ კვლევაში არსებულმა უსაფრთხოების დონის ოპტიმიზაციის წინადადებებმა.

მოცემულ სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი მეთოდიკები იძლევა აქტიური ტურიზმის მარშრუტებზე დაუგეგმავი სიტუაციების პროფილაქტიკის, საშიშროების შემქმნელი ფაქტორების ლოკალიზაციისა და მათზე რეაგირების ეფექტური გეოგრაფიული წერტილების გამოვლენის საშუალებას. საავტორო მეთოდიკები გამოყენებადია საქართველოს პრაქტიკულად ნებისმიერი მაღალმთიანი ტერიტორიისათვის.

ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის თემაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა ორი კოლოკვიუმი და ორი სემინარი:

კოლოკვიუმები:

1. კოლოკვიუმი 1 – „ტურიზმის უსაფრთხოების მენეჯმენტი საქართველოში“ (09.03.2018)
2. კოლოკვიუმი 2 – „ტურიზმის უსაფრთხოებისადმი ორგანიზაციული მიდგომა“ (12.11.2018).

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია

შემდეგ პუბლიკაციებში:

სტატიები:

1. მეტრეველი მ. მესხიშვილი თ. „ტერიტორიის ტურისტული უსაფრთხოება, როგორც საწარმოო და რეკრეაციული საქმიანობის შეხამების შედეგი“, სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, N4, 2018 წ. გვ 122-127;
2. მესხიშვილი თ. „ტურიზმის პოლიციური უსაფრთხოება“ სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ N1, 2019 წ. გვ 108-110;
3. მეტრეველი მ. მესხიშვილი თ. „ტურიზმის სახეობრივი მრავალფეროვნება; კოორდინაცია და იერარქია, როგორც უსაფრთხოების პრობლემის კვლევის მეთოდი“, სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“ N3-4, 2019 წ. გვ 138-145.

კონფერენციები

1. მეტრეველი მ. მესხიშვილი თ. „ტურისტული დესტინაციის უსაფრთხოება, როგორც საწარმოო და რეკრეაციული საქმიანობის შეხამების შედეგი“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები” II, 2018 წ. 25-26 მაისი;
2. მესხიშვილი თ. „ტურიზმის ძირითადი ტიპების ინტერპრეტაცია“ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები” III, 2019 წ. 24-25 მაისი.